# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
# ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**№42. 422434430**

თარიღი:**09/12/2024**

**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით**

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის გაცემისთვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 აპრილის N5/10 დადგენილების, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 05 ნოემბრის №42.422431020 ბრძანების და საკონკურსო კომისიის 2024 წლის 05 დეკემბრის №3 ოქმის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიის 2024 წლის 05 დეკემბრის N3 სხდომის ოქმის თანახმად, კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს ,,ფოთის სატრანსპორტო კომპანია“ (ავტოსატრანსპორტო საშუალების სახეობა M3 კატეგორია) და კონკურსში გამარჯვებულზე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვა გაიცეს დანართი №1-ში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად.
2. დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის კონკურსის წესით გაცემასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიას და სამუშაო ჯგუფს რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით გაატაროს მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ღონისძიებები.
3. ბრძანება განთავსდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე და ასევე, გამოქვეყნდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე **http://poti.gov.ge**.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბექა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი